„ჩინგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ყორხელი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2023 წელი • №13-14 (9555-56) • 1-31 ივლისი • ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

სტიქია სენაკში

ხურამ დააზიანა ქალაქების - სენაკის და ფოთის მკვებავი 300 და 700 მმ-იანი ცენტრალური მილები, რის გამოც, წყალმომარაგება შეეზღუდა 32 000-ზე მეტ აბონენტს, დაზიანდა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა და ა.შ.

11 ივლისს კლიმატური პირობების გაუარესებამ და უხვმა ნალექმა სამეგრელოში პრობლემები შექმნა, მათ შორის სენაკშიც. ქალაქად და ადმინისტრაციულ ერთეულებში დაიტბორა საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, გზები და სავარგულები, საცხოვრებელი სახლების

პირველი სართულები, მდინარემ რამდენიმე ლოკაციაზე დამბა გაარღვია. სტიქიამ ღვარცოფული და მეწყრული პროცესები გამოიწვია, რის გამოც გზების დიდი ნაწილი დაზიანდა. ზანისა და ლესიჭინეს საზღვარზე, მეწყერმა სენაკი-ჩხოროწყუს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მონაკვეთი ჩამოშალა. ადიდებულმა მდინარე ტე-

სტიქიის სალიკვიდაციოდ შესაბამისი სამსახურები მაშინათვე შეუდგნენ მუშაობას. მეორე დილით კი მყისიერად შექმნილმა ზარალის დამთვლელმა კომისიამ დაიწყო ზარალის აღწერა. პარალელურ რეჟიმში გაგრძელდა სტიქიის სალიკვიდაციო და გაწმენდითი სამუშაოები. მობილიზებულ იქნა მუნიციპალური, საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოსა და შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები.

სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ და ადგილზე მიმდინარე აღდგენით სამუშაოების პროცესში ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პირველ პირებთან ერთად შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, ასევე ადგილზე იმყოფებოდნენ მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის რეგიონული კოორდინაციის სამმართველოს უფროსი, შოთა კაკაბაძე, სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი გუგუჩია და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, ილია ბეგიაშვილი.

16 ივლისის ძლიერმა, კოკისპირულმა წვიმამ კი ამჯერად, ქალაქში დატბორა საცხოვრებელი სახლების პირველი სართულების ნაწილი, ქუჩები, საკარმიდამო ნაკვეთები და სავარგულები. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულშიც. სტიქიის პირველივე წუთებიდან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნენ.

სტიქიის ზონაში იმყოფებოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი გუგუჩია. მუნიციპალიტეტის ყველა სამსახური გადაყვანილ იქნა საგანგებო რეჟიმზე. მუნიციპალიტეტისთვის სტიქიით მიყენებულ ზარალს შესაბამისი კომისია შეისწავლის.

გილოცავთ!



საქართველოს მხატვართა კავშირისა და მწერალთა კავშირის წევრი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, სენაკის საპატიო მოქალაქე, პარიზის ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის მუდმივი წევრი, პარიზის, დიჟონის, შერბურგის, პორტბაილის, მარსელის, რამდენიმე სხვადასხვა სახის დიპლომის მფლობელი მხატვრობაში, დავით აღმაშენებლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გოგლა ლეონიძის, აკაკი წერეთლის, გურამ რჩეულიშვილის, ტერენტი გრანელის ლიტერატურული პრემიების ლაურეატი, მწერალი და მხატვარი ***რეზო (ემელიანე) ადამია,*** *საქართველოს მწერალთა კავშირმა ესესთვის „დაუოკებელი სულ ბობოქრობაა მერანი“ -- დააჯილდოვა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული პრემიით – ოქროს მედლით*

„კოლხეთელები“ ვულოცავთ მას კიდევ ერთ აღიარებას და ვუსურვებთ დღეგრძელობას.

ᲓᲐᲣᲙᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲑᲝᲑᲝᲥᲠᲝᲑᲐᲐ ᲛᲔᲠᲐᲜᲘ

„თავს მივცემ უფლებას, რომ მსოფლიოს პოეზიის შედევრთა ლაშქრის ერთპიროვნულ რაინდული ზნეობის საიმედო წინამძღოლად წარმოვიდგინო, დავით აღმაშენებლის დროინდელი ძლიერების შემდგარი მხედარ ნიკოს „მერანი“, უსათუოდ მის, მზისფერ მჩქეფარე, შემოქმედებით ძლიერ ძარღვებში, ვარსკვლავეთიდან ჩვენს პლანეტაზე „მერანისეული“ გზავნილი შეუპოვარი და მღელვარია ბრძოლის ველზე, ერთხელ ბოძებული სიცოცხლის გმირულად შეწირვა-შენარჩუნებისათვის მოვარდნილი ქარიშხალივით უდრეკი იერიში, რაც ლომგულ, დაუდეგარი უსაზღვრო გავარდნაა მხედარ, წმიდა გიორგივით, წამებული მერანოსან ადამიანისა, რომელსაც ცივ ოღროჩოღრო შავქვაფენილიან გზაზე ქვეყნიური ჭირვარამი, მუქი ყავისფერ ზედმეტხორცივითაა აკრული, რითაც თუ არ იგულადე, ბევრად უღირსნი უნამუსოდ დაგამხობენ“.

* * *

„მერანი“ ანტიკური ეპოქის ქმნილებათა დონე და როგორც ნათელი სახე, ღვთივ-ადამიანური ქმნილებისა, მზესავით მარად დარჩება სამყაროს უსაიდუმლოესი მეხსიერების გალერეის ფონდებში, სამარხებში თუ უცხო მარად წრიულ დინებაში როგორც ზეცის შორეულიდან სრული გამოცხადება სასწაულებრივი მოძრავი ლექსფორმა, ისევე, თავის პრვანდელ უფერულ საშოგანძთსაცავს სამარადისოდ ფლობს. ის ხომ ჩვენთან გამოცხადება ღმერთია და აქედან გამომდინარე, ვით კოსმოსური მკვეთავი თანამგზავრი „მერანი“ მრავალ ქართული ოხვამეს (სალოცავების) წმინდა კედლებზე, თეთრი ასომთავრული ასოებით უნდა იყოს აღბეჭდილი, თუ არადა სახე პლანეტარული ნიმუშქმნილება, რელიგიური ხელოვნების მუდმივ საცავებში, სალოცავის დონეზე დავანებული, როგორიც გახლავთ ღირსება, ფრესკები, ხატები, მინიატურები, ორნამენტული ოქრომჭედლობა, გორელიეფ-ბარელიეფები, მინანქარი, მრავალი აგიოგრაფიული ლიტერატურა – წმინდანთა სარკოფაგები (მოგეხსენებათ და ყველა საფლავიც მიწას მიბარებულ-შენახულიც...) და მათ გვერდით ღვთიური ქმნილება „მერანი“, როგორც მრავალათასწლოვან კოლხურ-იბერიულ უკიდურეს განცდა-დარდს ამოყოლილი, იდუმალ უვარსკვლავო ცას მიმსგავსებული და კაეშნურ-გაღრმავებული მქროლავი მკერდძლიერი სუნთქვა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

* * *

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა, კომისიის წევრები, მანანა გვიჩია და მარინე ნანეიშვილი, ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს" სტუმრობდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრში არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნული დაწესებულების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე.

ა(ა)პი-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს; საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის მონიტორინგი, პროფილაქტიკური აცრების მიღება, შენახვა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მომწოდებლებისათვის, ეპიდსაშიშროებისას პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა.

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში" 21 თანამშრომელი მუშაობს.

* * *

2023 წლის 23 ივნისს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ორი საკითხის განხილვა.

1. საგრანტო კონკურსი მეწარმე ქალებისთვის ,,ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით".

2. საინფორმაციო შეხვედრა სოციალურად დაუცველ ქალბატონებთან - ,,არა ფემიციდს".

ორივე საკითხზე მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი, მანანა გვიჩია.

* * *

2023 წლის 29 ივნისს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ექვი საკითხის განხილვა:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია.

2. "სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი კალანდარიშვილი.

3. "სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია.

4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია.

5. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია.

6 .სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

მუნიციპალიტეტის მერიაში

შეხვედრა - პროექტის „მერების შეთანხმება" ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტი შეუერთდა მერების შეთანხმების (№CoMEast) იმ ათასობით ადგილობრივი თვითმმართველობების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლის მიზანია ევროკავშირის, კლიმატის და ენერგეტიკული პოლიტიკის ამოცანების განხორციელება. სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას ხელმძღვანელობით, მუნიციპალიტეტის მერიაში, მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SEKAP) შემუშავების ჯგუფი შეიქმნა, რომლის სამოქმედო სტრატეგია მოიცავს: ამ მიმართულებით, პრიორიტეტული სექტორების განსაზღვრას, პროექტების იდენტიფიცირებას, მუნიციპალური და არამუნიციპლაური შენობების რეესტრის შექმნას და ენერგომოხმარების განსაზღვრა/გამოვლენას, co 2-ის ემისიების გამოთვლას, რისკებისა და მოწყვლადობის შეფასებას, საადაპტაციო ღონისძიებების განხორციელებას. მდგრადი ენერგეტიკის გეგმის მონაცემთა ბაზის შეგროვების მიზნით, გაიმართა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SEKAP) შემუშავების ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, სადაც ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობის შეჯამებასთან ერთად, სამომავლო კონცეფცია დაისახა. პროექტი ხორციელდება მერების შეთანხმების (№CoMEast) მთის რეგიონების მდგრადი განვითარების კავკასიის ქსელის, ენერგოეფექტურობის ცენტრ ,,საქართველოს" და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის მხარდაჭერით. ,,მერთა შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე" მიზნად ისახავს ეკოლოგიურად, სოციალურად და ეკონომიურად მდგრადი გარემოს დამკვიდრებას. აღნიშნულ პროექტს, ჩვენს მუნიციპალიტეტთან ერთად, დმანისის და ცაგერის მუნიციპალიტეტებიც შეუერთდნენ. ზუგდიდისა და ფოთის შემდეგ, სენაკი, სამეგრელოდან, მესამე მუნიციპალიტეტია, რომელიც პევროკავშირის ფართომასშტაბიან ინიციატივას შეუერთდა.

სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა

სენაკის მუნიციპალიტეტში დასრულდა სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე კენჭისყრის ეტაპი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისიის წევრებს: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, დონარა ალანიას; ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს, ნანა ზარანდიას; განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსს, გივი მისაბიშვილს; სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ეკატერინე კიზირიას და იურიდიული განყოფილების უფროსს, რამაზ კუპრეიშვილს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე, მუნიციპალიტეტის მერმა, პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა და პროექტში ჩართულ სენაკელებს აქტიურობის, ინიციატივების დაფიქსირებისა და ხმის მიცემის პროცესში ჩართულობისთვის, მადლობა გადაუხადა. პროექტის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში, შემოვიდა 13 საპროექტო წინადადება. კენჭისყრის ეტაპზე 4 საპროექტო წინადადება გადავიდა, მათგან, ხმათა უმრავლესობით, გამოვლინდა 3 გამარჯვებული: 833 ხმა მოიპოვა საპროექტო წინადადებამ - ,,senaki loves you" – ქალაქის ცენტრალური მოედნის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ქალაქის ცენტრალურ სკვერების უფასო ინტერნეტით უზრუნველყოფა – პროექტის ავტორი, დავით ხუხუა; 701 ხმა - ჭავჭავაძის 37-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსის მიმდებარედ დასასვენებელი და საბავშვო ატრაქციების მოწყობა – პროექტის ავტორი, თამარ ლაშკოვა;

670 ხმა - სენაკის მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,კოლხეთის" ძველი ნომრების (1950 წლიდან 1990 წლამდე) გაციფრულება – პროექტის ავტორი, ცოტნე ეჯიბია;

2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 150 000 ლარი სრულად მიიმართება სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამისთვის. ერთი პროექტი 50 000 ლარით დაფინანსდება. პროგრამის ფარლგებში, 2022 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ორი პროექტი განხორციელდა: აღმაშენებლის ქუჩაზე მოეწყო ტროტუარები; ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში კი - ამფითეატრი.

2023 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივითა და საკრებულის მხარდაჭერით, პროგრამის ბიუჯეტი 150 000 ლარამდე გაიზარდა, რაც სამი პროექტის დაფინანსებას მოიცავს. სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის მიზანია, საჯარო ფინანსების მართვის საქმეში მოქალაქეთა ჩართულობისა და განსახორციელებელი პროექტების ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტების შესაბამისად შერჩევის გზით, მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

ძველი სენაკის საჯარო სკოლა

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, სენაკის მუნიციპალიტეტის ძველი სენაკის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია განახორციელა.

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი, ლევან სუხიტაშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი გუგუჩია და სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, დასრულებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ. პროექტი, რომლის ღირებულება მილიონ სამასი ათასი ლარია, ითვალისწინებს 3 სართულიანი შენობის აღჭურვას ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით.

შენობა სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის, ფუნქციონირებს ამწე-ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები. შენობას, განახლებულ სასწავლო სივრცეებთან ერთად, აქვს ექიმის კაბინეტი, სააქტო და სპორტული დარბაზები, სასადილო, კომპიუტერული ოთახები და საბუნებისმეტყველო კლას კაბინეტები. აღსანიშნავია, რომ 1874 წელს, აკაკი წერეთლის შუამდგომლობით და ძველ სენაკელთა მონდომებით, გაიხსნა ერთკლასიანი სათავადაზნაურო სკოლა. სწავლების პირველ წელს, ძველი სენაკის სკოლაში, 21 მოსწავლე ირიცხებოდა. 1884 წლის 25 ოქტომბერს, სკოლა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, სადაც, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით, სიტყვა წარმოუთქვამს აკაკი წერეთელს. სკოლას არაერთხელ სწვევია პედაგოგ-განმანათლებელი, იაკობ გოგებაშვილი. სკოლამ დიდი როლი შეასრულა მრავალი თაობის აღზრდის საქმეში. სწორედ აქ ეზიარნენ ცოდნას და შემდეგ დიდ გზაზე გავიდნენ საქვეყნოდ ცნობილი აკადემიკოსები: კონსტანტინე გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, პეტრე ქავთარაძე, ვარლამ თოფურია. საგანმანათლებლო აინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაციის ფარგლებში, ასევე ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს ნოსირის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის მაშტაბური სამუშაოები.

„მწვანე ჯილდოს" ფინალისტთა ათეულში

4 ივნისს, ქალაქ თბილისში, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კონკურსის - "მწვანე ჯილდო" გამარჯვებულები გამოვლინდნენ. გამოცხადებულ კონკურსში პედაგოგები და აღმზრდელები მთელი საქართველოს მასშტაბით მონაწილეობდნენ. კონკურსის ფინალისტთა ათეულში გავიდა და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები/საქართველოს რჩეულის ტიტული წილად ხვდა სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების №6 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელს, თამარ ქანთარიას.

"მწვანე ჯილდო - სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება 2023"- ქ. თბილისის N19 საბავშვო ბაღის აღმზრდელმა, ნათია მუმლაძემ, ხოლო "მწვანე ჯილდო - გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში 2023" - გორის მუნიციპალიტეტის №12 საჯარო სკოლის ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა, ასმათ ლეჟავამ მოიპოვეს. გამარჯვებულებს ჯილდოები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ გადასცა. გამართულ ღონისძიებაზე, გამარჯვებულები და საკონკურსო კომისიის რჩეული მონაწილეები სპეციალური პრიზებითაც დაჯილდოვდნენ.

დაჯილდოებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ბერიკა შუკაკიძე, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. კონკურსი "მწვანე ჯილდო" გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ 2018 წლიდან ტარდება. კონკურსის მიზანია იმ პედაგოგებისა და აღმზრდელების გამოვლენა და წახალისება, რომლებიც სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებს "სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება", "გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში" და ბავშვების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშესაწყობად ზრუნავენ. კონკურსის "მწვანე ჯილდო" მხარდამჭერები არიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისის ზოოპარკი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი, ახმეტის მუნიციპალიტეტი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, CENN, ეკოხედვა, ბუნების კონსერვაციის ორგანიზაცია "საბუკო"; ასევე, სულაკაურის გამომცემლობა, დელფოსი, კარფური, ფარმადეპო, რომლებიც, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მხარს უჭერენ გარემოსდაცვითი განათლების და ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებს.

მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ჩართულობის მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო – სენაკის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო შეიქმნა. საბჭოს წევრების შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსში რეგისტრაცია 34-მა ახალგაზრდამ გაიარა, მათგან, საკონკურსო კომისიის წევრებმა, გასაუბრების შედეგად, პირველ ეტაპზე, 15 კონკურსანტი შეარჩიეს. წევრობისთვის დაწესებული კრიტერიუმები: წევრობის კანდიდატი არის 14-29 წლის; არის საქართველოს მოქალაქე და რეგისტრირებულია (ან ცხოვრობს) სენაკის მუნიციპალიტეტში. საბჭოს ძირითადი ფუნქციებია: სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა და წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება მათი უზრუნველყოფის მიზნით; მონაწილეობა - სენაკის მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, ასევე შესაბამისი ადვოკატირების კამპანიის წარმოება; მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირება მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის, პროგრამების, აქტივობების და სხვა არსებული შესაძლებებლობების შესახებ. საბჭოს წევრების კონკურსის ჩატარება და შერჩევა მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა, ახალზრდულ საკითხებზე მომუშავე პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყვეს.

ინტელექტუალური თამაში - რა? სად? როდის?

სენაკის სპორტის სასახლემ, ინტელექტუალურ თამაშს - ,,რა? სად? როდის" უმასპინძლა. სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ინტელექტუალურ პროექტში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სექტორის 14 -მა კერძო და საჯარო სკოლამ მიიღო. საინტერესო და ემოციურად დატვირთულ თამაშს, რომელიც სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მერის მოადგილე ლევან ელიავა, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დარეჯან ზარანდია, ადგილობრივი თვითმმართველობის, საგანამანათლებლო სფეროს და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. ინტელექტუალური თამაშის პირველი ადგილის მფლობელი წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის გუნდი ,,ინფინიტი" გახდა. მეორე ადგილი წილად ხვდა ჟიული შარტავას სახელობის N2 საჯარო სკოლის გუნდს "ადელანტე", მესამე ადგილზე კი - N3 საჯარო სკოლის გუნდი ,,ამბაზი" გავიდა. ღონისძიებას გიორგი მოსიძე უძღვებოდა.

ხორში-საჯიჯაოს დამაკავშირებელი გზა

2023 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი შეემატება - ხორში-საჯიჯაოს დამაკავშირებელი გზა. აღნიშნულ ლოკაციაზე, წლების მანძილზე შექმნილი დაზიანებები და მოშლილი ინფრასტრუქტურა მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემას უქმნიდა. პროექტის ფარგლებში, 5კმ-მდე გზაზე, ორფენიანი ასფალტო-ბეტონის საფარი დაიგება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ, განახლებული და კეთილმოწყობილი გზით, ორი ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა ისარგებლებს პროექტი, ღირებულებით - 1 963 308 ლარი, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება. მასშტაბურ საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია და საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია გაეცნენ.

ბავშვთა სარაგბო ფესტივალი

საქართველოს რაგბის კავშირის, სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, 17-18 მაისს, სენაკში, ,,ეგრისის" ცენტრალურ სტადიონზე, დამსახურებული სპორტსმენის, საქართველოს რაგბის დამოუკიდებელი ფედერაციის ფუძემდებლის, სენაკის საპატიო მოქალაქის, დავით კილასონიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ბავშვთა სარაგბო ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობდნენ: სენაკის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, ბათუმის, ქობულეთის, ჩაქვის, ჭიათურის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, წყალტუბოს და მარტვილის მორაგბეთა გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის გუნდმა ,,აია". მეორე ადგილი მოიპოვა გუნდმა ,,სოხუმი". მესამე ადგილი წილად ხვდა ბათუმის მორაგბეთა გუნდს.

დავით კილასონიას სახელობის თასი, ჩაქველ მორაგბეს, ლუკა ჯინჭარაძეს გადაეცა.

სენაკს 3 ნაგავმზიდი და 3 სატვირთო მანქანა გადაეცა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, "მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ის" ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, სამი ნაგავმზიდი და პიკაპის მარკის 3 სატვირთო მანქანა გადაეცა. ახალი, 13 კუბური მეტრის ტევადობის ნაგავმზიდები, დასუფთავების სამუშაოების ეფექტურ შესრულებას და მყარი ნარჩენების მართვის მაქსიმალურად გაუმჯობესებას ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობს. პროექტი - "მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II-ის", საქართველოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ვახტან გადელიას მერობის პერიოდში, მუნიციპალიტეტმა შეიძინა ახალი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, 19 კუბური მეტრის ტევადობის ნაგავშემკრები მანქანა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ", ,,მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტს 350 კონტეინერი, ასევე, სხვადასხვა ზომის 100 კონტეინერი, ქუჩის (მცირე ზომის) 249 ურნა და უნიფორმა გადასცა.

(დასასრული 4 გვ-ზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(დასასრული)

ქართული ხალხური ცეკვის ფესტივალ-კონკურსი

10 ივნისს, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის სენაკის ორგანიზაციის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქორეოგრფიული სტუდია ,,კუჩხიბედინერის" - ხელმძღვანელი: ზვიად გვასალია, ორგანიზებით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სენაკში, ლეგენდარული სუხიშვილების ოქროს თაობის მოცეკვავის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, სენაკის საპატიო მოქალაქის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების ტრადიციული ფესტივალ-კონკურსი ,,კუჩხიბედინერი - 2023" ჩატარდა. ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობა სენაკის, ფოთის, მარტვილის, ჩხოროწყუს, აბაშის, ქუთაისის, მარტყოფის ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა მიიღეს. კონკურსის გრან- პრი გადაეცა მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებულ ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,ჭყონდიდს". პირველი ადგილი მოიპოვა მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებულმა ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,კოლხიდა'.' მე-2 და მე-3 ადგილები გაინაწილეს ქალაქ ფოთის არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,როკვა" და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის რეზო ჭანიშვილის სახელობის ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,მარდუქი". ქართული ხალხური ცეკვების ფესტივალ-კონკურსი ,,კუჩხიბედინერი 2023", წელს, მერვედ გაიმართა და სიმბოლურად, ქართული ქორეოგრაფიის დღეს მიეძღვნა. გილოცავთ ქართული ქორეოგრაფიის დღეს, რომელიც, ამასთანავე, ერის სულის ზეობის დღესასწაულია.

ანგარიშის პრეზენტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორმა, ალექსანდრე ჯანჯღავამ, საქმიანობის ერთი წლის ანგარიში წარადგინა. მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ორგანიზებით გამართული ანგარიშის პრეზენტაციას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, შესაბამისი სამსახურებისა და სკოლამდელი აღზრდის სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, ხანგრძლივი, წარმატებული, საქმიანობისა და სკოლამდელი აღზრდის სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორს, ალექსანდრე ჯანჯღავას, მადლობის სიგელი გადასცა. შეხვედრაზე ასევე დაჯილდოვდნენ: ნახევარსაუკუნოვანი წარმატებული საქმიანობისა და სკოლამდელი აღზრდის სფეროში შეტანილი წვლილისთვის - ძველი სენაკის პირველი საბავშვო ბაღის გამგე, მაყვალა ჯიმშელეიშვილი; თეკლათის საბავშვო ბაღის ღვაწლმოსილი აღმზრდელ-მასწავლებელი, ნაილი კეკელიძე; 66 კრედიტიანი, ტრენინგგავლილი 23 აღმზრდელ-მასწავლებელი; პირველი ივნისის ღონისძიებაში მონაწილე 9 საბავშვო და ბაგა-ბაღი; კონკურსის - "მწვანე ჯილდო" მონაწილე აღმზრდელ-მასწავლებლები: თამარ ქანთარია, თეა გვაზავა და მანანა გრიგოლია; კეთილსინდისიერი საქმიანობისთვის

- სკოლამდელი აღზდის გაერთიანების სპეციალისტი, საქმის წარმოებისა და კადრების აღრიცხვის საკითხებში - მარინე სიორდია.

ბოლო წლების მანძილზე, სკოლამდელი აღზრდის სექტორში, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მიმდინარეობს და იგეგმება. მათ შორის, აღსანიშნავია: N1 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია; N2 და N6 ბაგა-ბაღების გადახურვის პროექტი; N1 ბაგა-ბაღში - საბავშვო სივრცის მოწყობა; თეკლათის საბავშვო ბაღის ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვა; ხელფასები გაეზარდა ყველა თანამშრომელს; პროფესიული 66 საათიანი ტრენინგ მოდულით, 46 აღმზრდელ-მასწავლებელი გადამზადდა; ნოქალაქევის საბავშვო ბაღში წყალმომარაგების მწვავე პრობლემა გადაწყდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს: N3 ბაგა-ბაღის მშენებლობა; უახლოეს პერიოდში დაიწყება ლეძაძამეს, ფოცხოს N2 და ძველი სენაკის N1 ბაგა-ბაღების მშენებლობა. იგეგმება - N2 და N6 ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია.

საჩუქრად სასკოლო ნივთები

სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების 27-ვე საბავშვო და ბაგა-ბაღის სასკოლო ასაკის 377-მა აღსაზრდელმა, მუნიციპალიტეტის მერისგან და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისგან, საჩუქრად, სასკოლო ნივთები მიიღო. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორთან, ალექსანდრე ჯანჯღავასთან ერთად, სკოლამდელი აღზრდის სექტორის ყველა თანამშრომელს, გაწეული საქმიანობისა და ნაყოფიერი საალმზრდელო წლისთვის, მადლობა გადაუხადა; აღსაზრდელებს სამახსოვრო ალბომები და საჩუქრები გადასცა და სასკოლო ცხოვრების ეტაპზე, წარმატებები უსურვა. ,,ბავშვების განვითარება და განათლება ბაღიდან იწყება. ჩვენი ხელისუფლების დიდი მიღწევაა, რომ დღეს ბაღები უფასოა და ყველა ბავშვისთვის შეგვიძლია სკოლამდელი აღზრდის შეთავაზება. ვაშენებთ და ვარემონტებთ ბაღებს, ვაუმჯობესებთ პირობებს, რომ ჩვენი პატარები სათანადო გარემოში აღიზარდონ. დღეს, სწორედ ჩვენი სახელისუფლებო გუნდის მიერ აშენებულ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მეორე საბავშვო და მეხუთე ბაგა-ბაღებს ვეწვიეთ. მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიცირებული, ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს დაიწყება: ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის N2, ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის და ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის N 1 საბავშვო ბაღების მშენებლობა; ამ პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, სამ ეტაპად, 8 ახალი საბავშვო ბაღი მშენებლობა და 12 არსებული საბავშვო და ბაგა-ბაღის რეაბილიტაციაა დაგეგმილი" - აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.

ხიდ-ბოგირების აღდგენა-რეკონსტრუქცია

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ხიდ-ბოგირების მოწყობა-რეკონსტრუქციისა და აღდგენის სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან, ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ეკატერინე კიზირიასთან ერთად, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდა, ადგილობრივ მოსახლობას შეხვდა და ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. პროექტის ფარგლებში, სოფელ სახარბედიოში მიმდინარეობს ხიდ-ბოგირების აღდგენითი სამუშაოები, ღირებულებით - 131 985 ლარი; პარალელურად, სოფელ საწულეისკირიოში, გრძელდება ხიდ-ბოგირების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი, ღირებულებით - 24 572 ლარი. ხიდ-ბოგირებისა და ჯებირების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები შემდეგ ლოკაციებზე: ყოფილი სამხედრო ქალაქიდან თეკლათის მიმართულებით, რეაბილიტირდება დაზიანებული რკინა-ბეტონის ჯებირები და ხიდ-ბოგირები; ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამხედრო ბაზასთან - დაზიანებული ხიდის აღდგენა; ეკის ადმინისტრაციული ერთეულის საცხვიტავოს უბანში - ხიდ-ბოგირის აღდგენა-რეკონსტრუქცია; ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გახომელას ლეგოგიეს უბანში - რკინა-ბეტონის ხიდის აღდგენითი სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

წარმატების ისტორია

იაპონიის ქალაქ კიოტოს უმაღლესი მეცნიერების უნივერსიტეტში(Kyoto University of Advanced science), რომელიც სიძველით მეორე უმაღლესი სასწავლებელია ქვეყანაში და არეაერთმა ნობელის პრემიის ლაურეატმა, იაპონიის, ჩინეთის პრემიერ-მინისტრებმა, მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერებმა... დაამთავრეს, მექანიკური ინჟინერიის ფაკულტეტზე ისწავლის თეკლა კინწურაშვილი.

რა გზა გაიარა თავისი მიზნის მისაღწევად, რატომ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება იაპონიაში, მაშინ როცა პრესტიჟულად ითვლება უმაღლესი განათლების მიღება ამერიკაში ან ევროპაში, არ გააგრძელა ოჯახური ტრადიცია და აირჩია ინჟინერიის ფაკულტეტი, როგორია მისი სამომავლო გეგმები, როგორია მისი ურთიერთობა სენაკთან, ამ და სხვა კითხვებზე გვესაუბრა თეკლა.

გთავაზობთ საუბრის მოკლე შინაარსს.

მეათე კლასამდე ვსწავლობდი ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის სკოლაში, მე-11 და მე-12 კლასში მივიღე სრული დაფინანსება აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის პროგრამაში, რათა 2 წლიანი საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა შემესრულებინა "ახალ სკოლაში, საქართველოს საერთაშორისო სკოლაში" (New School, internation school of Georgia) ინგლისურ ენაზე. ამ ხნის განმავლობაში ვაბარებდი სხვადასხვა სახის ტესტირებებს, გავიარე ონლაინ გასაუბრება და კიოტოს უნივერსიტეტში ჩავირიცხე 50%-იანი დაფინანსებით მექანიკური ინჟინერიისა და ელექტრული სისტემების 4 წლიან ფაკულტეტზე. ექიმების შვილმა რატომ ავირჩიე ინჟინერიის ფაკულტეტი? იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ფიზიკა, ტექნიკური საგნები.



გეთანხმებით, რომ დღეს ძალიან პრესტიჟულია უმაღლესი განათლების მიღება ევროპაში. ბავშვობიდან ყოველთვის მინდოდა ჩემი მიზნების მისაღწევად ამერჩია რთული და განსხვავებული გზა. სწორედ ამ ფაქტმა მიბიძგა, რომ სწავლის გასაგრძელებლად ამერჩია იაპონია. იაპონია ხომ ცნობილია ტექნოლოგიური წინსვლითა და ინოვაციებით, უმაღლეს დონეზე განვითარებული მანქანათმშენებლობით. მე იქ მომეცემა შესაძლებლობა ინჟინერიის დარგში მივიღო სრულყოფილი განათლება,

გარდა ამისა ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი იაპონიით, მას ხომ ამომავალი მზის ქვეყანას უწოდებენ, მისი ბუნებით, დახვეწილი კულტურით, თან იაპონიაში სასწავლებლად წასვლით არამარტო დიდ პროფესიულ გამოცდილებასა და ცოდნას მივიღებ, არამედ, საკუთარ თავს გამოვცდი სხვა მხრივ. ვგულისხმობ, იქ კულტურულ ინტეგრირებას და ნამდვილად დამოუკიდებლად ცხოვრებას.

რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს: ვაპირებ სწავლას შევუთავსო მუშაობა, ფიზიკა -მათემატიკაში და ინგლისურში ვამეცადინო მსურველები.

სწავლის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილი მაქვს მაგისტრატურა გავიარი ევროპაში ბიოსამედიცინო ინჟინერიის განხრით. ჩემი დიდი სურვილია შევძლო სამედიცინო, ტენიკური აპარატურა იყოს სრულყოფილი, დახვეწილი და მე შევძლო ჩემი წვლილი მისი სრულყოფის პროცესში.

ჩემი დიდი სურვილია გავხდე კარგი სპეციალისტი და ჩემი ცოდნა და განათლება მოვახმარო ჩემს სამშობლოს.

მთელი ჩემი ბავშვობა დაკავშირებულია სენაკთან და ძალიან მიყვარს, ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვდივარ, რადგან ის ჩემი მშობლების, ბებია და ბაბუების ქალაქია.

ვუღოცავთ თეკლას პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩარიცხვას და ვუსურვებთ ბედნიერ, წარმატებულ მომავალს.

შ. სახოკია

გოგონა-დაუმარცხებლის სტატუსით

ახლახანს თბილისში, ორგანიზაცია GFC-ში, რომელიც არამარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც ერთერთი საუკეთესოა, გაიმართა სენაკელი მარიამ ტორჩინავას ერთერთი ბოლო ორთაბრძოლა ხილოლა სობიროვასთან. მარიამმა მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვა, მესამე რაუნდში წააქცია და კარიერაში მეშვიდედ მოიგო.

ენერგიული, აქტიური მარიამი ბავშვობიდანვე იყო სპორტით გატაცებული. ,,ჩემი სპორტული ცხოვრება სამი ეტაპად შეიძლება დავყოთ-ამბობს მარიამი - პირველი ეტაპი ფეხბურთი გახლავთ, მაგრამ ჩემი თავი ამ სპორტში ვერ ვიპოვე, მეორე ეტაპი კი დაიწყო ძიუდოთი. აქ უკვე დაზუსტებით ვიცოდი, რომ ძალისმიერი სპორტი ჩემია, მაგრამ ჩემი ძალების გამოყენება ბევრად უფრო მრავალფეროვნულ სპორტში მინდოდა და დაიწყო მესამე ეტაპი ახალ სპორტში MMA-ში, უფრო კონკრეტულად შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში".

MMA-თანამედროვე შერეული საბრძოლო ხელოვნების ორთაბრძოლებია. მისი სპორტსმენები უნივერსალური მებრძოლები არიან. მათ შეუძლიათ დაარტყან ერთმანეთს ხელებით, როგორც კრივში; ფეხებით – როგორც კარატეში; იჭიდაონ, როგორც სამბისტებმა ან ძიუდოისტებმა. ეს ყველაფერი კი ძალიან მიმზიდველი სანახაობაა.

მარიამის ანგარიშზე არაერთი ორთაბრძოლა და ულამაზესი მოგებაა.

შთამბეჭდავი იყო მარიამისა ლიბანელ არაბ მოზგანის ორთაბრძოლა ბათუმში, ორივე გოგონა ამ შეხვედრას დაუმარცხებლის სტატუსით შეხვდა, თუმცა მოგებათა 100%-იანი შედეგი მარიამმა შეინარჩუნა და მეტოქეს პირველივე რაუნდში სძლია.

მარიამი მიიჩნევს რომ სპორტში წარმატების მისაღწევად საჭიროა მიზანსწრაფულობა, მონდომება და რა თქმა შრომისმოყვარეობა, თუმცა თვლის რომ წარმატებაში დიდი ამაგი მიუძღვის შერეული საბრძოლო ხელოვნებების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს გიორგი კაბულაშვილს, რომელმაც უსაზღვრო განვითარების შანსი მისცა არა მარტო მარიამს, არამედ ბევრ სხვა მებრძოლს.

,,უკვე ორი წელია რაც ამ სპორტში ვარ და გადაწყვეტით შემიძლია ვთქვა, რომ ეს სპორტი ჩემთვისაა. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი წარმატებისთვის ჩემს მწვრთნელებს გიორგი კაბულაშვილს, გიორგი ბალიაშვილს, ამირან სახოკიას და რამაზ ბებნაძეს" -განაცხადა მან.

ვულოცავთ მარიამს ღირსეულ გამარჯვებას, ვუსურვებთ წარმატებებს, კიდევ ბევრჯერ ესახელებინოს ჩვენი ქვეყანა.

მ. შონია

„ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვის დღე



მე 12 საუკუნის მიწურულს დაწერილი, მრავალ ენაზე თარგმნილი და გამოცემული შოთა რუსთაველის გენიალური პოემა, ,,ვეფხისტყაოსანი" რომელიც ჩვენი ერის განუყოფელი, იდენტური ნაწილია, უდიდეს როლს ასრულებს ქართველი ერის, ქართული ლიტერატურის თვითმყოფადობაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ერის ცნობიერებაში, ის მეორე ბიბლიადაც არის მიჩნეული. დღესაც ხდება ამ გენიალური პოემის კვლევა, შესწავლა... სწავლობენ მის აფორიზმებს, ეპითეტებს, ფაბულას, ზოგადად მის ისტორიულ სინამდვილეთან დადგენას... ამოუწურავია თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობით ეს პოემა და ამიტომაც არის მსოფლიო მნიშვნელობის. მან საუკუნეებით გაუსწრო დროს და ის ზოგადსაკაცობრიო იდეა - რომ ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია", რაც ესოდენ ფასეულია დღევანდელი დემოკრატიული საზოგადოებისთვის, 900 წლის წინ იყო ქართველისთვის ჩვეულებრივი კანონზომიერება. და სწორედ, ამიტომაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ახალგაზრდობა ძალიან ახლოს იყოს რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანთან". სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ,,ვეფხისტყაოსნის" საჯაროდ კითხვის დღე, რომლის ტრადიციას საფუძველი თითქმის 20 წელზე მეტია რაც ჩაეყარა.

ჩვენი ქალაქი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, წელსაც გამოეხმაურა ყველა ქართველისთის ამ მეტად მნიშვნელოვან თარიღს. სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ამფითეატრში გაიმართა მარათონი ,,ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვაში, რომელსაც უძღვებოდა მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების განყოფილების სპეციალისტი, ჟურნალისტი, ლია ღვამბერია. მარათონში მონაწილეობა მიიღეს N1, N2, N3, N7 საჯარო სკოლების, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებული სკოლა-გიმნაზიის, კერძო სკოლა ,,პელაგონის" კერძო სკოლა ლიცეუმის და კერძო სკოლა ,,მარიოტას" მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.

სივრცეში, სადაც 3 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა მარათონი, გამოფენილი იყო ,,ვეფხისტყაოსნის" სხვადავსხვა წლებში გამოცემული და ნათარგმი ორიგინალები. სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგებთან ერთად ქმნიდნენ ,,ვეფხისტყაოსნის" თემაზე ილუსტრაციებს.

,,ვეფხისტყაოსნის" საჯაროდ კითხვის მარათონის ფარგლებში, სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში, გაიმართა კონკურსი კალიგრაფიაში, რომელსაც აფასებდა კომპეტენტური ჟიური, სამხატვრო სკოლის ხელმძღვანელის, მამუკა ბარქაიას, სენაკის სამხატვრო გალერეის ხელმძღვანელის, ლერი კართხიასა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტის, ჟურნალისტის, თამარ ვარდიას შემადგენლობით. კონკურსში გამოვლენილ გამარჯვებულს - წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მე-10 კლასის მოსწავლეს, საბა გოგინავას, რუსთველის ქმნილების ილუსტრირებული წიგნი გადაეცა. ასევე, ,,ვეფხისტყაოსნის'' საკოლექციო გამოცემებით დაჯილდოვდნენ, კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე, მე-3 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე, ნიკოლოზ კუპრეიშვილი და მე-7 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე, გიორგი კანკია. დასასრულს, მონაწილეებთან ერთად, ყველა მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა, შეერთებოდა ,,ვეფხისტყაოსნის" საჯარო კითხვის მარათონს და წაეკითხა ნაწყვეტები ,,ვეფხისტყაოსნიდან".

ჟულიეტა ჩაჩიბაია

ძიუდოს ამომავალი ვარსკვლავი

ანანო კინწურაშვილმა - ხელვაჩაურში გამართული საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ნანი კირკიტაძის სახელობის ტურნირში 2007-2008 წელს დაბადებულ გოგონათა შორის დაიკავა – პირველი ადგილი 48 კგ. წონით კატეგორიაში; ასევე ივნისის თვეში ბოლნისის დავით ნავერიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში - პირველი ადგილი, თებერვლის თვეში ძიუდოს აკადემიაში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატში- საქართველოს ჩემპიონი გახდა; საქართველოს ისტორიაში პირველად ქალთა ჭიდაობაში არის საქართველოს პირველობაში გამარჯვებული ... და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი გამარჯვებაა ანანოს ანგარიშზე.

ვინ არის ანანო კინწურაშვილი, რომელსაც საქართველოს ძიუდოს ამომავალ ვარსკვლავს უწოდებენ? ერთი შეხედვით თითქოსდა ჩვეულებრივი გოგოა, თუმცა ვერ წარმოიდგენ, რომ ამ ლამაზ, ნაზ გოგოში თავმოყრილია ისეთი თვისებები, როგორიცაა შეუპოვრობა, გამარჯვებისაკენ თავდაუზოგავი სწრაფვა, რაც მთავარია შრომისმოყვარეობა. ის სენაკის № 1 საჯარო სკოლის მეათეკლასელია.

ანანო, პირველ რიგში გილოცავ წარმატებებს, რატომ აირჩიე ძიუდო, რომელიც თითქოსდა ცოტა არაქალური სპორტია, თან შენისთანა ნაზი, სიფრიფანა გოგოსთვის, შენი არჩევანია თუ ვინმეს რჩევით დაიწყე ვარჯიში?

ძიუდო ჩემი არჩევანია, მახსოვს 6 წლის ვიყავი, ჭადრაკზე რომ მიმიყვანეს. ცნობისმოყვარეობამ მძლია და გვერდით დარბაზში შევიხედე, სადაც ძიუდოისტები ვარჯიშობდნენ, იმდენად მომეწონა, რომ მერე სხვა რამეზე არ მიფიქრია. ძიუდო გახდა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. შემდეგ

იყო ვარჯიშები, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებები, ტურნირები, გამარჯვებები.

სულ არ მივიჩნევ, რომ ძიუდოში მარტო ბიჭები უნდა ასპარეზობდნენ, ქალებიც არანაკლებ წარმატებებს აღწევენ.

საკმაოდ დატვირთული გრაფიკი გაქვს, თავისუფალი დრო თუ გრჩება, და რას აკეთებ ამ დროს?

თავისუფალი დროის ნაკლებობა ნამდვილად მაქვს, ძალიან მიყვარს ხატვა და ცეკვა. მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, დროს მაინც ვპოულობ საყვარელი საქმისთვის, მეგობრებთან ურთიერთობისთვის.

ანანო, როგორია შენი სამომავლო გეგმები?

ახლო მომავალში მივემგზავრები თუქეთში, სადაც მონაწილეობას მივიღებ საერთაშორისო ტურნირში. თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ კი დავიწყებ მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

,,კოლხეთის" რედაქცია ულოცავს ანანო კინწურაშვილს გამარჯვებას უსურვებს შემდგომ წარმატებებს.

მაია გერგაია

შინაარსობრივად დატვირთული დღეები

2023 წლის 19-დან 28 ივნისამდე ProActive Group Georgia- ს მხარდაჭერით, სკოლა - გიმნაზიის XI კლასის მოსწავლეები ელენე ნაკაშია და ანანო წულეისკირი, ქართულ-ამერიკული სკოლის მოსწავლეები(გუნდის ლიდერი -- მეგი ტალახაძე) ერასმუსის (Erasmus) ახალგაზრდულ გაცვლით პროექტის ფარგლებში იმყოფებოდენ რუმინეთში. პროექტში ქართველების გარდა მონაწილეობდნენ ახალგაზრდები ირლანდიიდან, ლიტვადან, სლოვაკეთიდან, ეგვიპტედან და მაკედონიიდან.

პროექტის მიზანია ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის კუთხით, ადამიანის საქმიანობასა და გარემოს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაგაზრება. პროექტი შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს გაუზიარონ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს საკუთარი უნიკალური კულტურა. ასევე, აღმოაჩინონ უცხო ქვეყნის ტრადიციები.

ელენე და ანანო გაგვიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს

ელენე ნაკაშია – ჯერ კიდევ შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, ეს იყო 10 დაუვიწყარი დღე ჩემს ცხოვრებაში. ჩვენ ვიმყოფებოდით რუმინეთის ქალაქ ტირგუ-ჟიუ -ში. ყოველ დღე შინაარსობრივად ძალიან დატვირთული იყო: სხვადასხვა სახის აქტივობები, თემატური საღამოები, ექსკურსიები... დავათვალიერეთ ქალაქის ისტორიული ადგილები, დაცული ტერიტორიები. ვიყავით ლაშქრობაზე, ვნახეთ ძალიან ლამაზი ადგილები. მონაწილეებთან ავღნიშნე, რომ მართალია ულამაზესია აქაურობა, მაგრამ ჩემი სამშობლოს სილამაზეს მაინც ვერ შეედრება. ჩემი სიტყვების შემდეგ ბევრს გაუჩნდა საქართველოში ჩამოსვლის სურვილი.

მადლობა მინდა გადავუხადო სკოლის დირექცია, ყველას, ვინც მოგვცა შესაძლებლობა წარმოგვეჩინა ქვეყანა და ჩვენი სკოლა ღირსეულად.

ანანო წულეისკირი- ვთვლი, რომ ეს იყო ძალიან კარგი პროექტი, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა გაგვეზიარებინა ჩვენი თანატოლებისათვის, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ჩვენი უნიკალური კულტურა და ტრადიციები. ასევე, აღმოვაჩინეთ უცხო ქვეყნის ტრადიციები. გარემოს დაცვითი მიმართულებით სახალისო აქტივობები დავგეგმეთ. ძალიან საინტერესო დღეები გვქონდა. განსაკუთრებით სახალისო და საინტერესო იყო ინტერკულტურული საღამო, სადაც ყველამ საკუთარი ქვეყანა წარმოვადგინეთ: ცეკვა, სიმღერა და ა.შ. პროექტის გარეთ დავგეგმეთ დედაქალაქის გასვლითი ტური. უდიდესი შთაბეჭდილებებით აგვავსო მისმა სილამაზემ. მოვილოცეთ ულამაზესი მართლმადიდებლური ტაძრები და ვეწვიეთ მის არაერთ ღირშესანიშნაობას.

მ. ჭუბაბრია

უნიკალური "ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია"

(დასასრული, დასაწყისი იხ. გაზეთ „კოლხეთის №11-12-ში)

ქალბატონო ლიანა, მართლაც დაუჯერებელი მასშტაბებია, დამატებით რა შეგიძლიათ გვიამბოთ კიდევ კონფერენციაზე?

როგორც უკვე ვახსენე, ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია შედგებოდა 10 თემატური კონფერენციისა და ორი, შოთა რუსთაველის ფონდის მიერ საქართველოში დაფინანსებული ორგანიზაციის საერთაშორისო პროექტებისაგან "ფესვები" და "მამულიშვილი,"(რომლებიც ჩვენ შვილობილ პროექტებად იქცა), რამაც ჯამში შეადგინა 12 კონფერენცია.

კონფერენციის დევიზი იყო და რჩება: ,,შეიმეცნე შენი სამშობლო-საქართველო". ჩვენი კონფერენცია ეყრდნობოდა ძირითადად აუცილებელ პრინციპებს: როგორიცაა, კონფერენციათა თემატიკა:

* აკადემიურ-კვლევით კონფერენციებს,
* მეცნიერ-პროფესორ მკვლევართა უახლოესი აღმოჩენების წარდგენა-განხილვა-გაანალიზებას.
* ქართველ და მსოფლიოში ცნობილ ქართველ მეცნიერ-მკვლევართა ჩართულობას მსოფლიოს მიერ აღიარებულ მეცნიერების კვლევა-ძიებათა საფუძველზე წინარე პროტო-კოლხურ-ლაზურ-პელაზგურ-მეგრულ-ჭანურ-სვანურ-ქართველურ წინაპართა კულტურული მემკვიდრეობის მოძიება-წარმოჩენას მსოფლიო მასშტაბით,
* ინტერდისიპლინარულ, საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციებს, რომელიც აერთიანებდა მეცნიერულ ფართო სფეროს: ისტორია, არქეოლოგია. არქიტექტურა, ფილოსოფია, ლიტერატურა, მითოლოგია, მედიცინა, საერთოდ, კულტურაში და წარმოაჩინა პროფესორ-მეცნიერთა აღმოჩენა და კვლევათა გლობალურ მისია.
* ქართველთა მსოფლიო დიასპორასა და საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობას დაეხმარა მეცნიერულად დამტკიცებული და საქვეყნოდ აღიარებული ფაქტებით გაზრებულ-შემეცნებული მშობლიური ისტორიის აღქმაში და მისი უძველესი კულტურული მემკვიდრეობის პროტოქართველური ფესვების მოძიებაში.
* ხელი შეუწყო მსოფლიოს მასშტაბით ქართველ მოზარდთა ნაშრომების, კვლევების პრეზენტაცია- განხილვა-წარმოჩენას.

*ქართული მეცნიერული მიღწევების პოპულარიზაციასა და თანამშრომლობის სფეროს ზრდას მსოფლიოს მასშტაბით და სხვა.

მოსალოცი და მისასალმებელია ასეთ წარმატებული ეროვნულ-მამულიშვილური საქმე. ქალბატონო ლიანა, უნიკალური კონფერენცია დასრულდა. საინტერესოა სამომავლოდ რა გაქვთ ჩაფიქრებული, თუ შესაძლებელია გაგვაცანით თქვენი გეგმები.

ბედნიერი ვარ, რომ მეძლევა შესაძლებლობა ეს სასიხარულო ინფორმაცია, პირველად, გაზეთი "კოლხეთის" მკითხველებს გავუზიარო.

მოგეხსენებათ, როგორც ყოველ წარმატებულ საქმეს, ამ ჩვენს წამოწყებასაც ძალიან საინტერესო დასასრული აქვს. კონფერენციის დელეგატები, "ქართული კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩებისა და "აიელი რაინდის " წოდების მაძიებლიდან, გადადიან ახალ ეტაპზე, როდესაც მათ სათანადო ჯილდოები საქართველოს მთავრობის საზეიმო ცერემონიალზე გადაეცემათ.

დიასპორელები საქართველოში ღებულობენ ჯილდოებს, სამშობლოსთან გაერთიანების სიმბოლოდ. მით უფრო სასიხარულოა ის ფაქტი, როდესაც საქართველოს მთავრობის მხრიდან გამოჩნდა დაინტერესება და შემოთავაზებაც. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უმასპინძლებს ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის წარმატებულ დელეგატებს, 2023 წლის 1-დან 3 აგვისტოს ჩათვლით, თბილისში.

ალბათ, არც ისე ადვილია მსოფლიოს მასშტაბით დელეგატთა საქართველოში ჩამოყვანა და საზეიმო ცერემონიალის ორგანიზება?

გეთანხმებით, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ორივე მხრიდან ძლიერი და გამოცდილი გუნდია სათავეში, რაც უფრო საინტერესოსა და ღირშესანიშნავს ხდის დაჯილდოების ცერემონიალს:

პირველ რიგში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტოს გააჩნია უდიდესი გამოცდილება მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებათა ჩატარების, დიასპორათა ფორუმების, ტრენინგების, კონფერენციების სხვადასხვა დონის და სიძლიერის ღონისძიების მოწყობის. ამიტომ მათთვის ასეთი სახის ღონისძიება ჩვეულებრივია. მათ ჰყავთ ძლიერი და მაღალპროფესიონალური გუნდი;

მეორეს მხრივ, ჩვენი გუნდით, მსოფლიოში მრავალი საინტერესო და დიდმასშტაბიანი ღონისძიებების ავტორები, ორგანიზატორები თუ კოორდინატორები ვართ დიდი და საინტერესო ცხოვრებისეული გამოცდილებებით;

მესამეს წარმოადგენენ ჩვენი დელეგატები, რომელთა უმრავლესობა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები არიან და მათთვის, (უმეტესს შემთხვევაში), მისაღები და ნაცნობია მაღალ დონეზე დაჯილდოების პროცედურა;

მეოთხე, ჩვენი დელეგატები მსოფლიოდან საქართველოში ძირითადად ჩამოდიან, რათა მიიღონ სამშობლოსგან: სერტიფიქატი, დიპლომი, მედალი და რაც მთავარია აღიარება, რომ ისინი საქართველოს შვილები არიან და შვილი ყოველთვის მოვალეა დედის წინაშე...

ჩვენ, დიდი მოწიწებით ვემზადებით ამ დაუვიწყარი და ისტორიული დღისთვის.

თქვენი ხშირად ახსენებთ კონფერენციის საორგანიზაციო საბჭოს. ვინ არიან თქვენი საბჭოს წევრები და რა ფუნქცია აკისრიათ მათ?

მადლობელი ვარ ამ კითხვისათვის. ადამიანს გააჩნია გონება, რომელიც განთავსებულია თავის ქალაში, რომელიც განაგებს მთლიანად ორგანიზმს, მაგრამ ხერხემალია მხოლოდ ის აუცილებელი ნაწილი, რომელიც მას აძლევს ფუნქციონალურად 360 გრადუსით შეიცნოს და გააკონტროლოს მის ირგვლივ მყოფი არეალი. სწორედ ასეთი ფუნქციის მატარებელია ჩვენი ერთიანი იდეის მარეგულირებელი საორგანიზაციო საბჭო.

ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო საბჭო შედგება 9 წევრისგან, ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს და ავღნიშნავ მათ როლს კონფერენციის წარმატებით წარმართვის საქმეში:

კონფერენციის იდეის ავტორები:

1. ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი-ასოციაცია "აიელის" პრეზიდენტი. კონფერენციის იდეის ავტორი, ლექტორი, ორგანიზატორ-კოორდინატორი, საორგანიზაციო საბჭოს წევრი,
2. ეკა კარტოზია-კონფერენციის იდეის ავტორი, საორგანიზაციო საბჭოს თავმჯდომარე, ისტორიკოს-არქეოლოგი, ლექტორი, ორგანიზატორ-კოორდინატორი, დოკუმენტური ფილმებზე პასუხისმგებელი.
3. ლუარა ჯიქია-საორგანიზაციო საბჭოს წევრი, კონფერენციის ლექტორი, ორგანიზატორი, სპიკერი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი. ფილოლოგი, მწერალი.
4. ლიკა ფაჩულია-საორგანიზაციო საბჭოს წევრი, მხატვარ-დიზაინერი, ორგანიზატორ-კოორდინატორი, კონფერენციის სიგელების, დელეგატთა საზეიმო დაჯილდოების სერთიფიკატების, დიპლომების და "აიელი რაინდი" მედლის მხატვარ-დიზაინერი და დოკუმენტურ ფილმებზე პასუხისმგებელი.

გულწრფელ მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობას-საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ბატონ მუხრან გულაღაშვილის გუნდს, მზაობის, თანადგომის, მზრუნველობისა და სიყვარულისთვის.

თქვენ ახსენეთ სიგელები, დიპლომები, მედლები. თვითეული ზემო ჩამოთვლილი ვისთვისაა გამიზნული და რასთან დაკავშირებით ხდება ეს დაჯილდოება, ხომ არ აუხსნიდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

როცა ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე-ორგანიზატორთა, თანამდგომთა და თანამოზიარეთა დაჯილდოებაზე უნდა ვისაუბროთ, მაშინ ურიგო არ იქნება ხაზი გაუსვათ თუ რა ღონისძიებები იგეგმება 2023 წლის 1-3 აგვისტოს.

დაჯილდოების ცერემონიალი სამდღიანია, 1-2 აგვისტო ეთმობა ექსკურსიებს, რომლებიც მოიცავს (სალექციო მასალებსა და დოკუმენტური ფილმებით ნანახ-განხილულ მუზეუმებსა თუ არქეოლოგიური მოძიების ადგილებს) და ადგილზე პრაქტიკას საქართველოს მასშტაბით, სამეცნიერო კონფერენციას და აქვს ამბიცია, რომ:

I. დააფინანსოს "ფესტოს დისკოს" ასლის გაკეთება-ჩამოტანა საქართველოში;

II. დააფინანსოს "ჩემი მშვენიერი ქართველი ქალის თავის ქალას" ასლი (ფრიდრიხ ბლუმენბახის, გერმანია, გოტინგენის უნივერსიტეტში არსებული ქართველი ქალის თავის ქალის მიხედვით);

III. აღმოუჩინოს ფინანსური დახმარება ფრიდრიხ ბლუმენბახის ნაშრომს: "ბუნებრივი სელექცია" - ჩემი მშვენიერი ქართველი ქალის თავის ქალა." ბლუმენბახისეული გერმანულენოვანი წიგნის ქართულად თარგმნაში.

კონფერენციის თემა

1. "დედოფალი პასიფაეს კულტურული მემკვიდრეობა-"ფესტოს დისკო" ბერძნული მითოლოგიის მიხედვით.
2. "ჩემი მშვენიერი ქართველი ქალის თავის ქალა," იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახის მეცნიერულ კვლევათა საფუძველზე.
3. "პირველყოფილი ადამიანების განსახლების არეალი და განვითარების გზა-კავკასიიდან მსოფლიოში."
4. "შოთა რუსთაველი, "ვეფხისტყაოსანი" და ზოგადსაკაცობრიო ეტალონები."
5. "წმინდა ნინო და საქართველოს გაქრისტიანება."
6. "საქართველო, როგორც მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აკვანი."
7. ღმერთები, მითები და ლეგენდები-მითოლოგია, წარმართული ღვთაებები და დღესასწაულები".

I. დედაღვთაება-ნაყოფიერება, ოჯახის დედაბოძი; II. კაცის კულტი-მეომარი, ქართულ მითოლოგიაში; III. წყლის კულტი ქართულ მითოლოგიაში; IV. ცხოველთა კულტი საქართველოში; მნათობთა კულტი კოლხურ მითოლოგიაში, V. მზის და მთვარის კულტი კოლხურ მითოლოგიაში; VI. კოლხური მითოლოგია.; VII. წარმართული და ქრისტიანული პერიოდის ჯვარ-სალოცავები, ლაშარი და ა. შ.; VIII. კოსმოლოგიური მითოლოგია-პრომეთეოსი.; IX. საერო ხალხური ტრადიციული დღესასწაულები; X. წარმართული და ქრისტაანული დღესასწაულების თანხვედრა და ტრადიციები; XI. მუსიკა და მუსიკალური ინსტრუმენტების ისტორია; XII. ცეკვის ისტორია და არქეოლოგია; XIII. შუმერულ და ეგვიპტურ მითოლოგიათა თანხვედრა კოლხურ მითოლოგიასთან.

8. მედიცინის ისტორია:I. ქართული მედიცინის ისტორია; II. ფოტოთერაპია; ბალახები, მკურნალობა; III. ქვის ხანის ადამიანი და მედიცინა (ძოძუანა, კოტია და სხვა მღვიმეები); IV. კურა-მედიცინა-მედეა; V. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი- კარაბადინი; VI. ეპიდემია საქართველოში; VII. კავკასიური იოგა; VIII. უძველესი სავაადმყოფოები საქართველოში; IX. შელოცვები და ხალხური გადმოცემები; X. ცნობილი ქართველი ექიმები; XI. ღვინით მკურნალობის ხალხური ტრადიციები საქართველოში; XII. ბალნეოლოგიური კურორტები (ცურვა, ცხელი და მინერალური წყლები) საქართველოში.

9. ქართული ხუროთმოძღვრება;

10.სამშობლო-ჩვენი ოდაბადეა

დელეგატთა დაჯილდოების საფეხურები-კონფერენციის დელეგატების წოდება: უმაღლესი ჯილდო: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩის წოდება და "აიელი რაინდის" წოდება და მედალი

მაღალი წოდების ჯილდო: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩი წოდება-დიპლომი

ტიტულის მაძიებელი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩის ტიტულის მაძიებელი.

კონფერენციის მონაწილე: ლ ო ნ - დონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის (ერთი... 3 მოწვევის) დელეგატი.

ქვეყნის ღირსეული სამსახურისთვის

უფროსთათვის: დაჯილდოების საფეხურები და წოდება: "აიელი რაინდის" წოდება, დიპლომი, მედალი;

საქართველოს ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსების ორდენი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩის ღირსების ორდენი;

"ქართველი ერის საგანძური-პედაგოგი"-ტიტულის მფლობელი.

ჯილდო წარმოადგენს: 9 სმ დიამეტრის სპილენძის - ბრინჯაოს წრიულ ან მართკუთხედის სახის დისკს.

სპილენძის დისკის ერთ მხარეზე განლაგდება ათივე კონფერენციისთვის დამახასიათებელი ბარელიეფი, მაგალითად:

კონფერენცია იყო: უძველესი კოლხეთის შვილი, ოქროთ მდიდიარი აიეტის დის, მინოსის კულტურის ფუძემდებელი, დედოფალი "პასიფაეს კულტურული მემკვიდრეობა და ფესტოს დისკო" .

კონფერენციათა თემებიდან გამომდინარე მედალზე აისახება -ფესტოს დისკო

* გერმანიის ცნობილი ჰანოვერის უნივერსიტეტის პროფესორი, მსოფლიო ანთროპოლოგის ფუძემდებელი, ფრიდრიხ ბლუმენბახის "რასების თეორიის" მიხედვით "ჩემი მშვენიერი ქართველი ქალის თავის ქალა" ბლუმენბახისა და ჰეგელის მეცნიერული შრომების მიხედვით. მედალზე აისახება-"მშვენიერი ქართველი ქალის თავის ქალა."
* მედალზე აისახება-" კოლხური ცული" და "ზეზვა და მზია" ; ვეფხისტყაოსანი"-შოთა რუსათაველი" წმინდა ნინო ვაზის ჯვრით ხელში"; ვაზი, ქვევრი, სელი და ა.შ.

მედლის იმავე მხარეს შუაგულში იქნება: "ლონდონის საერთაშორისო-სამეცნერო კონფერენციის " ლოგო და წარწერა: "გაერთიანებული სამეფოს ორგზის ოქროს ორდენოსანი საუკეთესო ხარისხის პირველი ქართული სკოლა ლონდონში 1992-2023."

მედლის მეორე მხარეს იქნება: საქართველოს გერბი და მის ირგვლივ წარწერა: "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ელჩი- აიელი რაინდი." ხოლო, წრის მთელს სიგრძეზე: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ჩვენ გვყავს მხატვარ-დიზაინერი, რომელსაც ათივე გერბი მზადაა აქვს და ამავე ემბლემებით (ყოველ კონფერენციაზე) დელეგატებზე გაიცემა სიგელები.

მარიკა მიქაბერიძე

P.S. აგვისტოში დაგეგმილ საზეიმო ცერემონიალზე, რომელიც თბილისში ჩატარდება აუცილებლად მოვუთხრობთ ჩვენს მკითხველებს. ამჯერად კი რედაქციის სახელით მადლობას ვუხდით ჩვენს რესპონდენტს ვრცელი და ამომწურავი ინფორმაციის გაზიარებითვის, განსაკუთრებით კი იმ ეროვნული, მამულიშვილური საქმიანობისათვის, რომელსაც ის ეწევა თავის გუნდთან ერთად.

სწავლა ევროპის უნივერსიტეტში

გაზეთ „კოლხეთის“ ფურცლებზე არაერთხელ დაბეჭდილა ჩვენს ქალაქში მცხოვრები ნიჭიერი ახალგაზრდების წარმატებების შესახებ. ამჯერადაც არ ვღალატობთ ტრადიციას და დღევანდელ ნომერში გაგაცნობთ 1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულ -- მათე საჯაიას. მათე სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. ჩვენ მივმართეთ მას რამდენიმე კითხვით, რათა მოეყოლა თავის წარმატებების შესახებ. დატვირთული სასწავლო პროცესის მიუხედავად მან გამონახა დრო, რომ ეპასუხა.

– მათე რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია Erasmus-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლას აგრძელებ უნგრეთში. თქვენი აზრით, რამდენად ამაღლებს ეს მოტივაციას და რამდენად დაგეხმარება პროფესიის შესწავლაში.

Erasmus არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს ევროპულ უნივერსიტეტებში. ალბათ, ნებისმიერ ახალგაზრდას ერთხელ მაინც უოცნებია საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაზე და მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი. ჩემთვის დიდი პიროვნული გამარჯვება და მოტივაცია იყო იმის გაგება, რომ მიშკოლცის უნივერსიტეტში ჩავირიცხე და მომდევნო სემესტრს უნგრეთში გავატარებდი. უცხო ქვეყანაში სწავლა ხელს უწყობს სტუდენტების დამოუკიდებლობის მაჩვენებლის ზრდას და ასევე პროფესიული ცოდნის გაღრმავებას. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება დადებითად აისახება ჩემს პროფესიულ კარიერაზე.

– რა როლი მიუძღვის თქვენი პროფესიის არჩევაში ქალბატონ ნინო ლობჟანიძეს, რაზეც აღნიშნავდით სოციალურ ქსელში?

ნინო ლობჟანიძე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ერასმუსის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის პროცესში ის ყველანაირად მეხმარებოდა, რათა მიმეღწია წარმატებისთვის. მართალია, მე უკვე მქონდა პროფესია არჩეული, როდესაც ქალბატონი ნინო გავიცანი, თუმცა მისმა ლექცია-სემინარებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჩემი არჩევანის სისწორეში. შესაბამისად, უნგრეთშიც ეკონომიკის ფაკულტეტზე ვაგრძელებ სწავლას და ვეცდები მაქსიმალურად გავიღრმავო ცოდნა ამ სპეციალობაში.

– რა პარალელს გაავლებთ სტუდენტობისა და მოსწავლეობის წლებს შორის?

მოსწავლეობისა და სტუდენტობის წლები ისეთი პერიოდია, რომელიც აუცილებლად ყველა ადამიანმა უნდა გამოსცადოს, რადგან ეს ორი ეტაპი არის ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო დრო. ერთ-ერთი პარალელი, რომელიც შეგვიძლია გავავლოთ სტუდენტობისა და მოსწავლეობის წლებს შორის არის ის, რომ ორივე გვაძლევს საშუალებას ჩამოვყალიბდეთ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და დავისახოთ ცხოვრებისეული მიზნები.

– ხომ არ აპირებთ საზღვარგარეთ ცხოვრებას?

ჩემი მომავალი გეგმები დაკავშირებულია საქართველოსთან, შესაბამისად საზღვარგარეთ ცხოვრებას არ განვიხილავ. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი ისაა, რომ საზღვარგარეთ ვიცხოვრებ მხოლოდ განათლების მისაღებად და შემდეგ უკვე დავბრუნდები სამშობლოში.

– როგორია თქვენი დამოკიდებულება ეროვნული ფასეულობებისადმი (როგორიცაა ენა, სარწმუნოება, ქართული ფოლკლორი, ოჯახი)?

მე ქართულ ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე და ალბათ, ამან განაპირობა ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება ეროვნული ფასეულობებისადმი. უზომოდ შეყვარებული ვარ ქართულ ფოლკლორზე და ადრეულ წლებში პირადად ვიყავი ჩართული ამ საქმეში. ვფიქრობ, რომ ახალგაზრდების ვალდებულებაა იმ ტრადიციებისა და ადათ-წესების შენარჩუნება, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში შემოგვინახეს ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი სისხლის ფასად.

– თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს 100 წლის გაზეთის არსებობას რეგიონის, მუნიციპალიტეტის სინამდვილეში საზოგადოებისათვის?

საუკუნოვანი მემატიანის არსებობა საამაყო ფაქტია არა მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის საზოგადოებისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. თავისი მდიდარი ისტორიით გაზეთი "კოლხეთი" წარმოადგენს ფასდაუდებელ განძს. მინდა გისურვოთ წარმატება და მკითხველთა სიმრავლე.

რედაქციის სახელით მათეს ვუღოცავთ წარმატებებს და ვუსურვებთ თავისი სურვილებისა და მიზნების სრულყოფილად ასრულებას, ბედნიერ მომავალს და წარმატებებს მომავალ პროფესიაში.

მარიკა შამათავა

დასვენების ჟამს

***რუბენ განგავა** დაიბადა ზანაში. 1974 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა განხრით, შექმნა ოჯახი, ჰყავს ქალიშვილი და ორი ვაჟი.*

რუბენი მოწიფული ასაკიდან წერს ლექსებს, მინიატურებს, სხარტულებს... დაინტერესებულია სხვადასხვა თემატიკით. წლებმა მეტი გამოცდილება და ცოდნა შესძინა. 2019 წელს დაიბეჭდა მისი პირველი წიგნი ,,უსასრულობა" უკვე მომზადებული აქვს გამოსაცემად მეორე წიგნი.

,,ბატონი რუბენი პიროვნული თვისებებით, შინაგანი მრწამსით, მრავალმხრივი ადამიანური თვისებებით სხვებისგან გამორჩეულია, მაგრამ ეს გამორჩეულობა მას ხელს არ უშლის იყოს მეგობრული, უღალატო, უშურველი"-ვკითხულობთ წიგნის ანოტაციაში.

ამჯერად რუბენ განგავა თავისი შემოქმედებიდან ახალ ლექსებს გთავაზობთ.

***

აზრთა სიმფონიის ფოთოლთ შრიალია.
ლექსი ათასწლეულთა ხმაა უსასრულო,
ლექსი პოემაა-პონტოს სანაპირო!
ლექსი დრო-ჟამში ხვალის შრიალია,
ლექსი დროა და ვარსკვლავთ ბრჭყვიალია;
ლექსი ლექსებსა შობს ისე უსასრულოდ ...

***

ლექსი ,,სი რეე" - ,,შენ ხარ"-
თავში რაც ჰქონია
სავსე ყანწია და ლექსის სამოსშია,
ჩემო თოლიებო, ჩემო მაგნოლია!
პოემა ცეკვა-ცეკვით ტაშის გრიალია.-

***

ლექსი პოემა-პონტოს ფიზიკაში,
ძმანო, ძმობა ვნახოთ ბიბლიაში,
ლექსი აფორიზმის დიდი ლაშქარია-
მასზე ათასწლები ისევ მავალია!

ლექსის დაბადება აზრთა საგანძურით
ხმა ჟღერადობით ტკბილი სალამურის!
ლექსი ქსოვილია მწვანე სამოსელით,
ლექსი ფიზიკაა ფიქრთა საოცრებით.

ლექსი დროა ახლის აღმოჩენით,
ლექსი ქორწილია მტერთან დამოყვრებით.
ლექსი ნოეა, ლექსი იესოა,
ლექსი ბიბლიაა, ლექსი ილიაა.

ლექსი ბავშვია-ხვალის მედროშეა,
ლექსს ასიმღერებს გრძნობა საფიცარი!
სიტყვა ღმერთი, ლექსის სამოსია
მისი თესლი მხოლოდ ორ-ოცშია!...

სიმართლე სინათლით გაიგებს გასაგებს,
ოფლს დაღვრის, ცოდნიდან ააგებს ასაგებს,
დრო მოვა უფლისა სულისა ნათელით-
ესაა ამბავი ბიბლიაში ჩაფსკვნილი.

***

ცოდნით ნახავს კაცთ მოდგმა
ახალ ანბანთ აწყობას,
ყველა ერი ჩვენ გვეტყვის
თავაწევით მადლობას!
ცაში სიტყვა იქუხებს,
ბარში - ხსნისა ანბანი.
იმით განიკურნება ბნელსა გზასა მავალი.
ცოდნა ცოდნის მატებით მოვა
დიდი ვარსკვლავი.
დიდი ფასი ექნება ყოველივე მართალი.
გული აბიბინდება, ხელი ტაშს დაუკრავს,
ბარაბა კი შეხედავს-ღიმილ მზერას ჩაუკრავს.
მე რაც ცოდნა მაქვს, ძმებო,
ქრისტეში ვიპოვე,
უსასრულო დრო-ჟამში მომავალი ვიპოვე.
სიბნელეში ვიყავით!რომ გვეპოვა საპოვნი,
ჰე, მკითხველო, რას მეტყვი?
როგორია ნაპოვნი?!

დედაო ბუნებავ, შენით დიდი ვარ,
ამით ყოველთვის ძმობის ხიდი ვარ!"
ზოგჯერ ვწერ ლექსებს, ზოგჯერ მივდივარ,
რვა მილიარდში ერთი შვილი ვარ!

ჰო, ჩემო ერო, ბევრის მნახველო,
სიბრძნის მიმღებო, სიტყვის მჭედელო,
ჩემგან მიიღე ეს სადღეგრძელო!
ერთად ვთქვათ სიტყვა, ბევრის მნახველო,-
ბარაბა ფიქრში გავანახევროთ!

***

მე არ ვარ ხმალი, არ ვარ ბრაზი! -
მე ვარ ნათელი,
ენაა ღმერთი-ყოვლის შვება
და წარმმართველი,
თეთრ ცხენს შემჯდარი ორი ოცი-
ყოვლისა მხსნელი,
ბუნების ენაა ცოდნის სიტყვები-
სიბრძნის მომფენი.

ნოსირო, ჩემო ნოსირო

(ეძღვნება მეორე ნოსირის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფას)

მარად და ყველგან შენ მეგებები
ჩემო ნოსირო, ტეხურ ხარხაჩავ.
ძილში, სიზმარში ისე მგონია,
რომ უსასრულოდ მიყვარხარ მძლავრად.
მაგიჟებს შენი ხეობის ცქერა.
ტანს ჟრუანტელი მივლის შენს ხიბლში,
სიცოცხლის აღქმას მაძლევს ტეხურა
მოჩუხჩუხე და ლივლი მისი.
რომ დაგშორდები ისე მგონია,
წყვდიადს მივეცე დადუმებული
და როცა გნახავ ჩემო ნოსირო
სიცოცხლეს ვაფრქვევ გახარებული.
დღეს სასოებით ვამაყობ შენით,
თავისუფლება დღეს ხომ შენ გერგო,
დღეს ამაყი ვარ, გიმზერ შორიდან
ხვალინდელი დღით, დღეს საამაყოდ.
შენ ღირსეული კოლხის წევრი ხარ,
იდგები მარად სასიხარულოდ,
შენს სიყვარულში ჩავიფერფლები,
უსაყვარლესო ჩემო ნოსირო.

რევაზ ნოსირელი

რად ხარ ცუდად?!

ცუდად ვარო, რად ხარ ცუდად?!
წუთისოფლის გაქრა წესი?!
ქრისტე გყავდეს, შიში გწამდეს,
სხვა რა მოხდეს უარესი?!
...შენ-იგი ჰქმენ, რაც რო უფალს,
გაუხარდეს, შეგიყვაროს,
გზას დაადგე-იმ გზას ღვთისას,
არც რა სენი არ შეგყაროს...
უმადურიც ნუ იქნები,
რაც მოგეცეს ის გეკმაროს...
სიყვარული მოიძიე,
რომ ფოთოლი შერჩე საროს...
...ავყიათა საკრებულოს,
განეშორე ავთა კალოს,
ყველა ფესვი ამოძირკვე...
სად ეშმაკმა წილი ყაროს...
ჩადენილმა რომ შეგზაროს,
მთლად იმნაირს ნუ ჩაიდენ
შენ ვერ შეცვლი, ნურც ინდომებ,
-..შენ ვერ შეცვლი ამ სამყაროს...

წუთისოფელი

როცა არ იცი რისთვის მოხვედი,
და თუ მოხვედი,რატომ მიდიხარ?!
გამოსავალი მარტოკა ერთი-
ორთავ ფეხებით დასაკიდი ხარ...

ჯამგულ ჭანტურია

სენაკი - 150

ახალსენაკის საკრედიტო დაწესებულებების ისტორიიდან

XIX ს-ის 60-იანი წლებიდან საქართველოში იწყება სააქციო-კომერციულ საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ განვითარებაში. მათ შორის შეიძლება დასახელდეს თბილისის კომერციული ბანკი (დაარსდა 1871 წელს), თბილისის სასესხო-საკრედიტო საზოგადოება (1872 წ.), თბილისის საადგილმამულო ბანკი (1875 წ.), ქუთაისის საადგილმამულო ბანკი (1876 წ.), თბილისის საქალაქო-საკრედიტო საზოგადოება (1881 წ.), სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის კავკასიის განყოფილება (1890 წ.), ბათუმის სასესხო-საკრედიტო საზოგადოება (1895 წ.), ფოთის სასესხო-საკრედიტო საზოგადოება და ა. შ. (შველიძე ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 24-25). სასესხო ოპერაციებს პრიმიტიულ ფორმებში აწარმოებდნენ აგრეთვე წვრილი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები.

საინტერესოა, რომ ქუთაისში საადგილმამულო ბანკის დაარსების დროს სამეგრელოს თავადაზნაურობამ დააყენა საკითხი მეგრელებისათვის საკუთარი საკრედიტო დაწესებულებების დაარსების შესახებ (,,დროება", 20 დეკემბერი, 1868). ამ მხრივ გარკვეული მუშაობა გაიშალა კიდეც, მაგრამ შემდეგ სამეგრელოს თავადაზნაურობამ გადაწყვიტა, თავისი ხვედრი საბანკო კაპიტალი დასავლეთ საქართველოს ერთიან საადგილმამულო ბანკში გაეერთიანებინა (შველიძე ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 47). 1875 წლიდან 1885 წლამდე ქუთაისის გუბერნიაში დაარსებულა 20 სასოფლო ბანკი (,,ივერია", 24 თებერვალი, 1887).

ეს ის პერიოდია, როცა გლეხობის კლასობრივი დაშლა სულ უფრო მეტად შესამჩნევი გახდა სოფლად და იწყება კულაკურ-გლეხური ელემენტების ხელში თავადაზნაურული მიწების ბურჟუაზიული მობილიზაცია. გლეხური მიწათმფლობელობის ზრდაზე საუბრისას იგულისხმება გლეხთა კულაკური ნაწილი, რომელიც მემამულური მფლობელობის შემცვლელად გამოდის. ნ. შველიძის მართებული შეფასებით, ,,გლეხობის დაშლა, მისი ძირითადი ნაწილის გაღატაკება სრულებითაც არ ამცირებდა გლეხური მიწათმფლობელობის სივრცეს, იგი მხოლოდ მისი ერთი, მდიდარი ნაწილის ხელში გროვდებოდა და სასაქონლო ხასიათს ღებულობდა" (შველიძე ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 103). მამულის გამყიდველთა შორის პროცენტულად საგრძნობლად ჭარბობდა თავადაზნაურობა, გაყიდულ მამულებს კი გლეხობა იძენდა. 1886 წლის 17 აპრილს გაზეთ ,,ივერიაში" გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძეს ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკში მოკლე ვადით დაგირავებული ჰქონდა სენაკის მაზრის დაბა ახალსენაკში მდებარე ორსართულიანი ქვითკირის სახლი და 263 კვ. საჟენი მიწა, რასაც ბანკი გადასახადის გადაუხდელობის გამო ყიდდა.

ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთ საიმედო ძალას სწორედ გლეხობა წარმოადგენდა. ამიტომ მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა მოითხოვდა, რომ თავად-აზნაურთა მიერ გაყიდული მამულები უცხო პირებს არ ჩავარდნოდა ხელში და გლეხკაცობის სახით წესიერ მეურნეს შეეძინა. ,,როდესაც დიდ მემამულეს ჟამთა ვითარებისა და უწყალო ბედის მოტრიალების გამო მამული ხელიდან ეცლება, ყველანი უნდა ეცადონ, ეს დიდი მამული ან მთელ სოფელს გადაეცეს საერთო მოსახმარებლად, ან წვრილ-წვრილად დაიკუწოს და ისე დაიყიდოს გლეხკაცებს შორის. ეს ყველასათვის სასარგებლოა, როგორც გლეხკაცობისათვის და თვითონ დიდი მამულის პატრონთათვის, ისე მთელი სახელმწიფოსათვის" (,,დროება", 2 აგვისტო, 1884; მსჯელობისათვის იხ. შველიძე ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 105). სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა პერიოდული პრესის ფურცლებზე სავაჭროდ დანიშნული მამულების შესახებ სპეციალური მიმართვის, შეტყობინების გამოქვეყნება. საჯარო ვაჭრობაში მოხვედრილი მამულის შესახებ ინფორმაცია პრესის საშუალებით ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული პირისათვის.

XIX ს-ის 90-იან წლებში ბანკიდან სესხის ამღებ გლეხს ქუთაისის გუბერნიაში არანაკლებ 6-10 დესეტინა მიწა მაინც უნდა ჰქონოდა. სხვა შემთხვევაში გლეხობასთან სასესხო ოპერაციების წარმოება ფართო მასშტაბით შეუძლებელი იყო, რადგან თვით გლეხური მეურნეობაც არ იძლეოდა ამის შესაძლებლობას, თავისი მცირემიწიანობის გამო. საადგილმამულო ბანკიდან სწორედ ამ მიზეზით სესხის აღება ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ გლეხობის ყველაზე მდიდარი, კულაკური ნაწილისათვის (შველიძე ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 107).

გაზეთ ,,დროებაში" გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, სენაკის მაზრაში გლეხ სანიკიძის მიერ დაგირავებული მამული შეადგენდა 11 დესეტინას (,,დროება", 2 ივლისი, 1883). ბანკში მამულების დაგირავებით, რაც შედარებით გახშირდა 90-იანი წლებიდან, გლეხი უმეტესწილად მოკლევადიან სესხს იღებდა, რადგან დაგირავებულ მამულთა უმეტესობა ბაღ-ვენახებს შეადგენდა.

ახალსენაკის საკრედიტო დაწესებულებების შესახებ, სამწუხაროდ, მწირი მასალა გაგვაჩნია. ვ. გუნიას ცნობით, 1892 წლიდან დაბაში მოქმედებდა გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა – ბანკი (გუნია ვ., საქართველოს კალენდარი, 1892, გვ. 184).

სოფლად წვრილმა კაპიტალისტურმა საკრედიტო დაწესებულებებმა აღორძინება დაიწყო 900-იანი წლებიდან. ასეთი დაწესებულებანი განახორციელებდნენ შემდეგი სახის ოპერაციებს: 1) გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების გაცემას; 2) ფულის მიღებას შესანახად. ,,სესხის გაცემა შეიძლებოდა როგორც უძრავი ქონების გირაოს ქვეშ, ისე პირადი ნდობითა და თავდებობითაც; ამასთან, საკრედიტო დაწესებულებებს საკრედიტო საქმიანობასთან ერთად შეეძლოთ საშუამავლო ოპერაციებიც ეწარმოებინათ" (შველიძე ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 113-114).

1910 წლიდან დაიწყო თბილისის ბანკის სასესხო ოპერაციების ზრდა, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ ფინანსთა სამინისტროს ნებართვით თბილისის საადგილმამულო ბანკს უფლება მიეცა ქალაქის მამულის უფლებით გაეცა სესხი კოჯორის, აბასთუმნის, სურამის, ბორჯომის, ზუგდიდის, ხონის, ახალსენაკისა და სხვა, კურორტებსა და დაბებზე (იქვე, გვ. 129).

სენაკის საურთიერთო ბანკისა და ,,მეგრბანკის" შესახებ ინფორმაციას ვხვდებით გაზეთ ,,საქართველოს" ფურცლებზე. 1921 წელს სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი იუწყებოდა, რომ ,,თითო აქცია ღირს 1.000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 100 მან. თითო ხმის უფლებას ანიჭებს 10 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქნას აქციის ნახევარი ღირებულობა 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 100 მან. ე. ი. თითო აქციაზე 600 მანეთი. საზოგადო ოფიციალურ ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია ამა იანვრის 13 დღით ხუთშაბათიდან – იანვრის 18 სამშაბათამდე 1921 წ.; სენაკში – საურთიერთო ბანკში, თბილისში ცენტრობანკში, ბათომში – ცენტრობანკის განყოფილებაში და ფოთში – ქართულ სავაჭრო ბანკში (,,საქართველო", N9, 14 იანვარი, 1921, გვ. 1).

გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში" 1921 წელს გამოქვეყნდა ინფორმაცია, რაც საინტერესოა აღნიშნული ბანკის ისტორიის შესასწავლად. ქალაქ სენაკში არსებული სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის – მეგრბანკის საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებდა, რომ კვირას, 13 თებერვალს, 11 საათზე, ადგილობრივ პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელში დანიშნულია ზემოხსენებული ბანკის აქციონერთა დამფუძნებელი კრება, სადაც გაირჩევა შემდეგი საკითხები: 1) სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის (მეგრბანკის) გახსნა ქალაქ სენაკში და მიღება სენაკის საურთიერთო ნდობის საზოგადოების აქტივისა და პასივისა; 2) ახლადდაარსებული ბანკის წლიური ხარჯთაღრიცხვა; 3) ბანკის გამგეობის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევა; 4) სხვადასხვა საკითხები. განცხადებას ახლდა შენიშვნა: ,,თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავის უფლება სხვას გადასცეს, ისევ ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვექილობაზე მეტი ქონდეს. ვექილობა ხმის მისაცემად უნდა დაიწეროს წერილის სახით, რაიც უნდა წარედგინოს საორგანიზაციო კომიტეტს და მათ რწმუნებულებს არაუგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე" (,,საქართველოს რესპუბლიკა", N20, 28 იანვარი, 1921, გვ. 1; N26, 4 თებერვალი, 1921, გვ. 1).

აღნიშნულ ინფორმაციაში, როგორც ვხედავთ, სენაკის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის – ,,მეგრბანკის" დაარსების თარიღად 1921 წლის თებერვალია მიჩნეული. მაგრამ ეს ასე არ არის. აღნიშნული ბანკის დაარსების შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ბევრად ადრე, 1907 წელს. კერძოდ, გაზეთ ,,ჩვენი სიტყვის" ცნობით, ბანკის დაარსება ფინანსთა მინისტრის ნებართვით მოხდა და ძირითადი თანხა ხუთ მილიონ მანეთს შეადგენდა (,,ჩვენი სიტყვა", N8, 1907). თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ქალაქ სენაკში სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის (,,მეგრბანკის") გახსნაში 1907 წელს დაარსებული და შემდეგ გაუქმებული ბანკის ხელახალი აღდგენა იგულისხმებოდეს.

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი
ედიშერ ბაღათურია,
ურბანისტი

სხვა საქართველო სად არის

ივნისის დასაწყისში ,,დემოსის" ინიციატივით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერით, სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, ქართული სიმღერების VII კონკურს-ფესტივალის - ,,სხვა საქართველო სად არის", პირველი რეგიონული ტური ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საესტრადო და ფოლკლორის განყოფილებების მოსწავლეებმა, ანსამბლმა ,,მორდუმ", გოგონათა ვოკალურმა კვარტეტმა და ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებულმა გუნდმა; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის ბავშვთა საესტრადო ბენდმა ,,გრიფი", ხელმძღვანელი - ვალერი ნიკოლაიშვილი; ვოკალური ანსამბლმა ,,სტუდიო", ხელმძღვანელი - ლელა ნარსია.

კონკურსის მონაწილეებს აფასებდა კომპეტენტური ჟიური, შემდეგი შემადგენლობით: კომპოზიტორი, ლილიკო ნემსაძე და მუსიკოსი, ნუცა ჯანელიძე. კონკურს-ფესტივალის დამფუძნებელია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერი, გიორგი ფხაკაძე და ამავე უნივერსიტეტის პედაგოგი, მაია ჯამალაშვილი.

კონკურს - ფესტივალის მიზანია ქართული ტრადიციული სასიმღერო კულტურის შესწავლა - პოპულარიზაცია, როგორც ქართველი, ასევე, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის.

კონკურს-ფესტივალის - ,,სხვა საქართველო სად არის" დასკვნითი ტური გაიმართა 22 ივნისს, ქალაქ მარნეულში, მასში მონაწილეობა პირველ ტურში შერჩეულმა შემსრულებლებმა, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საესტრადო განყოფილების მოსწავლეებმა - ანა მახარაშვილმა და ნიკოლოზ გრიგოლიამ მიიღეს, პედაგოგი, ლელა მიქაბაძე.

კონკურსის მონაწილეებს ფარული წესით აფასებდა ჟიური, მუსიკოსების - მაია ჯამალაშვილის, ილია გელაშვილის და ნუგზარ კვაშალის შემადგენლობით, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი მადლობას უხდის სენაკის მუნიციპალირეტის მერიას და საკრებულოს თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

29 ივნისს კი ქალაქ მარნეულში, ქართული სიმღერების VII კონკურს-ფესტივალის - ,,სხვა საქართველო სად არის" გალა კონცერტი ჩატარდა.

დასკვნითი ტურში, საუკეთესო შემსრულებლების ტიტული წილად ხვდათ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საესტრადო განყოფილებების მოსწავლეებს, გოგონათა ვოკალურ კვარტეტს და ავთანდილ გოგოტიშვილის სახელობის გაერთიანებულ გუნდს.

გალა კონცერტზე მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის საესტრადო განყოფილების მოსწავლემ ანა მახარაშვილმა მიიღო. ანამ, ნომინაციაში - ,,სოლოს სიმღერა" - III ასაკობრივ კატეგორიაში, პირველი ადგილი მოიპოვა და სიმბოლური საჩუქრები მიიღო.

გოგონათა ვოკალურ ანსამბლს - პედაგოგი - გრიალა სამინავა, საესტრადო განყოფილების მოსწავლეს, ნიკოლოზ გრიგოლიას და ხელოვნების ცენტრის გაერთიანებულ გუნდს, ფესტივალში წარმატებული მონაწილეობისთვის, დიპლომები გადაეცათ.

ვულოცავთ სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს მოპოვებულ გამარჯვებას ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

მ. წულეისკირი

სპორტი

ჭადრაკი

7-8 ივლისს, ქალაქ ბათუმში გაიმართა გურამ ჭანტურიას სახელობის თასის გათამაშება ჭადრაკში-სენიორთა შორის.

სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელმა ზურაბ ლიფონავამ, 7 დან 5,5 ქულით დაიკავა პირველი ადგილი

ტურნირის გამარჯვებული, დაჯილდოვდა თასით და ფულადი პრიზით.

– – – – – – – – – – – –

ძიუდო

2 ივლისს, ხელვაჩაურში დასრულდა, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ნანი კირკიტაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, 2007-2008 წელს დაბადებულ გოგონათა შორის.

პირველი ადგილი, დაიკავა ანანო კინწურაშვილმა 48 კგ.წონით კატეგორიაში. მეორე ადგილი წილად ხვდა მარი ფარულავას 44 კგ. მესამე ადგილზე მია გოგოლი გავიდა 48 კგ.

მწვრთნელ-მასწავლებლები: **გელა ხარბედია და უჩა ჯღარკავა.**

– – – – – – – – – – – –



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

სენაკელი ფალავანი, საქართველოს ორგზის ვიცე ჩემპიონი, საქართველოს ნაკრების წევრი, გიორგი ქვარცხავა 75 კგ. წონით კატეგორიაში, უნგრეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონია. აღსანიშნავია, რომ გიორგი, 15 წლამდე სპორტსმენებს შორის პირველია სენაკიდან, ვინც იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მწვრთნელ-მასნავლებელი, რამაზ კოკაია.

ვულოცავთ ჩვენს სპორტსმენებს და მწვრთნელებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს სამომავლო სარბიელზე.

ირინა გაგუა
სენაკის სასპორტო გაერთიანების
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი ყომბიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499